ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 195 (20536) — ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲠᲝᲢᲕᲔᲚᲘ-89

ᲒᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲐ, რᲝᲝᲜᲘᲡ ᲡᲚᲔᲒᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲗᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲢᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ 280 ᲛᲘᲙᲐᲠᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, [illegible] ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲤᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ [illegible] ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ [illegible]

მ. ს. გორბაჩოვის საუბარი

„იჟორის ქარხნის“ გაერთიანების მუშებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ყველა ცნობა ღიაა საჯაროობისა და დემოკრატიის დროს. რაღაც წვლილი ამაში, ალბათ, შევიტანე. **(ტაში).** თქვენ თანაგრძნობას არ ვითხოვ, არა. გამიგეთ, მე დემოკრატიული გზის ერთგული ვარ. ჩემს წინაშე რომ დაისვას ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მართვის წინანდელი სისტემის დაბრუნებას არჩევანი, აუცილებლად უარს ვიტყოდი ჩემს პოსტზე.

თუ შევხედავთ ახლანდელ პროცესებს საზოგადოებაში, ყველაფერი მიმდინარეობს დემოკრატიზაციის მეშვეობით: ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის, კულტურული სფეროს დემოკრატიზაციის, მთელი საზოგადოებრივი ძალების დემოკრატიზაციის მეშვეობით. მე ვერთგულობ ამ არჩევანს და ბოლომდე ამაზე ვიდგები. ყოველ ღონის ვიხმარ საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის. ჩემი საქმიანობის მიზნად მიმაჩნია ისეთი წანამძღვრების შექმნა, რომლებიც არაერთგვარ პირობებში, არავითარი შემობრუნების დროს არ დაბრუნებდნენ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას, ასე რომ თრგუნავს პიროვნებას, და მითუმეტეს — ყოველგვარი პიროვნების კულტს. ეს ეწინააღმდეგება ჩემს მრწამსს. არ მინდა, ეს უდიდესი უფლებამოსილებანი, რომლებიც მომენიჭა ხალხს სახელით, სხვანაირად იყოს გამოყენებული. მხოლოდ ხალხის ინტერესებისათვის, მხოლოდ ქვეყანაში გარდაქმნის და დემოკრატიული განვითარების ინტერესებისათვის. **(ტაში).**

სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოვისმინეთ აზრთა მთელი მრავალფეროვნება, მსჯელობათა მრავალხმოვანება, ჩვენ მივიღეთ თითქოსდა ჩვენი საზოგადოების რეალური სურათის ჭრილი. ეს ყრილობის მნიშვნელოვან დამსახურებად მიმაჩნია. მეორე მხრივ, ყრილობამ დასაბამი მისცა საბჭოებისათვის ძალაუფლების რეალურ გადაცემას. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში ეს პროცესი კიდევ უფრო განვითარდება, და ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის ბედისათვის.

დემოკრატია იმისათვის გვჭირდება, რომ უკეთესობისაკენ შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება. და ამიტომ თამაში საპარლამენტო პროცედურებით, შეხლა-შემოხლა არ ეკადრება სახალხო დეპუტატს. ამაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული. შენიშნეთო, ალბათ, რომ ბევრი დრო მიაქვს მინისტრების კანდიდატურათა განხილვას. დეპუტატები ცდილობენ გაარკვიონ ყოველი საკითხი, სრული მოსმინონ სწორი პასუხი, რათა მოახდინონ შეგნებული არჩევანი და არა უბრალოდ დაამტკიცონ მინისტრის პოსტზე კანდიდატურა მექანიკური უმრავლესობით. ეს ბევრ დროს გვართმევს. მაგრამ, ვფიქრობ, ეს უბრალოდ საჭიროა ყველა ჩვენგანისათვის: მინისტრებისთვისაც, დეპუტატებისთვისაც და მთელი საზოგადოებისთვისაც.

ჩვენ უნდა ვიცნობდეთ საკუთარ მთავრობას. იმ ადამიანებს, რომლებსაც კანდიდატ საკითხების გადაწყვეტას ჩვენი ისტორიის ეტაპზე. ზოგჯერ ვისმენთ საყვედურებს, რომ გაკვიანურად უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა. დიახ, ხარვეზები არის, მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ დემოკრატიულ პროცესს მუდამ თან ახლავს გარკვეული ხარვეზები. მაგრამ მთავარში მისი ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება, რამდენჯერმე აღემატება ყველა ხარვეზს.

კითხვა. ვარაუდობთ თუ არა, და რამდენად მალე, ნამდვილად თანაბარი უფლებები მიანიჭოთ საკუთრების სხვადასხვა ფორმას — სახელმწიფო, კოოპერაციულ და კერძოს?

გორბაჩოვი. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გამოვავლინოთ სოციალისტური საკუთრების პოტენციალი — სამეურნეო აწყვრაშის მეშვეობით, არენდის მეშვეობით, კოოპერატივების მეშვეობით. ვერ წარმომიდგენია — და ვფიქრობ, ეს ძნელი წარმოსადგენია ყოველი ჩვენგანისათვის, — რომ დაიწყებთ კერძო საკუთრებაში ქარხნების გადაცემას.

ხმა. კოოპერაციულში?

გორბაჩოვი. კოოპერაციულში, კი, ბატონო!

ხმა. მიწა?

გორბაჩოვი. მიწასაც. დაე, იგი საერთო-სახალხო კუთვნილება იყოს. მისი გამოყენება კი შეიძლება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის შეიძლება მივცეთ არენდა: ბერებისაც, კოოპერატივებისაც, სხვა გაერთიანებებსაც. აი აქ კარგახსნილნი, გაბედულნი და მტკიცენი უნდა ვიყოთ. როცა მივიღებთ კანონს არენდის შესახებ, უნდა შემოვიღოთ წესი, რათა საბჭოები ხორცს ასხამდნენ საბჭოთა ხელისუფლების უფლებას, როგორც მიწის საკუთრების მფლობელნი — უფლებას იჯარით აძლევდნენ მიწას ამა თუ იმ ხელმძღვანელს სურვილის მიუხედავად.

მაგრამ მე კერძო საკუთრების წინააღმდეგი ვარ. ეს ჩვენთვის მიუღებელია. საერთოდ, მე კერძო საკუთრების წინააღმდეგი ვარ **(ტაში).**

ხმა. მიხეილ სერგის ძევ...

გორბაჩოვი. თქვენ რა, ამხანაგო, უკვე კაპიტალისტებისათვის აპირებდით მუშაობას?

ხმა. თუ კარგად გადამიხდიან, შეიძლება კაპიტალისტებისთვისაც ვიმუშაო!

გორბაჩოვი. ეს თქვენი პირადი თვალსაზრისია. დარწმუნებული ვარ, რომ მუშათა კლასი სოციალიზმზე უარს არ იტყვის, რადგან საზოგადოებრივი საკუთრების მეშვეობით შეიძლია გადაწყვიტოს თავისი შორს გამიზნული სოციალური ამოცანები. მაგრამ ჯოციალისტურ საკუთრებას ვიყენებთ და გამოვიყენებთ კიდეც საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობისა და წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნის ფარგლებში, ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებით. აქ უსაზღვრო შესაძლებლობანია. ვფიქრობ, რომ ვინც ასე ესწრაფვის კაპიტალიზმს, ჩვენში ცოტა იქნება.

კითხვა. რა არის იჟორაში თქვენი მოსვლის მიზანი?

გორბაჩოვი. დიდი ხანია აქ ჩამოსვლა მინდოდა. თქვენნი გაერთიანება ერთ-ერთი კონცერნია, აქ მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი. ამას ჩვენი ეკონომიკის მომავალს ვუკავშირებთ.

კითხვა. არის თუ არა ჩვენი ტიპის კონცერნების მუშაობის შესახებ მონაცემები?

გორბაჩოვი. არის. საინტერესო მონაცემებია. ყველაზე საუკეთესო მონაცემები, უნდა ითქვას, არის მოსკოვის „კვანტტემპის“ შესახებ. იქ საკმაოდ კარგი პერსპექტივები ისახება. ირღვევა დარგთშორისი ბარიერები და ბარიერები მეცნიერებასა და წარმოებას შორის. ამის შედეგად მანვრის უდიდესი შესაძლებლობანი იქმნება.

კითხვა. დღემდე უცნობია ადგილობრივი — რაიონული, საქალაქო, საოლქო, აგრეთვე რესპუბლიკური საბჭოების არჩევნების ადგილები? რომელი კანონით გაიმართება არჩევნები?

გორბაჩოვი. მე უკვე ვთქვი, თუ რომელი კანონის მიხედვით. ყოველი რესპუბლიკა აშუშავებს თავის საკანონმდებლო აქტს. რაც შეეხება ვადებს, ადგილობრივი და რესპუბლიკური საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მრავალი ადამიანი. ალბათ, ორი მილიონი მარტო დეპუტატი იქნება. ახლა არ იტყვით, რამდენი კანდიდატი იქნება? წარმოგიდგენიათ რა გაჭანგას შეიძენს ეს კამპანია? ასე რომ, დიდი მოსამზადებელი მუშაობა მოგვიწევს — საკანონმდებლოც და ორგანიზაციულიც. ბევრმა საჭიროდ მიიჩნია, რომ არჩევნები მოიწყოს ადრე გაზაფხულზე, სწორედ მაშინ, როცა უფლებამოსილება გაუდით ახლა მოქმედ დეპუტატებს. არის სხვა წინადადებანიც, მაგრამ ამ საკითხს თავად რესპუბლიკები გადაწყვეტენ.

კითხვა. ეკონომისტთა გამოანგარიშებით, რამდენი წელი დასჭირდება გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას?

გორბაჩოვი. პრინციპული თვალსაზრისით გიპასუხეთ, თუ როგორ ვუყურებთ ამ პრობლემების გადაჭრას. ვფიქრობ, ამისათვის ცოტა დრო გვაქვს. როგორც სასურსათო, ისე სახალხო მოხმარების სხვა საქონლის საკითხები გადაუდებლად უნდა გადავწყვიტოთ, არ გავაჭიანუროთ. ასე ესმით „ქვემოთაც“ და „ზემოთაც“. და, უნდა გავიერთიანთ ერთის და მეორის მეცადინეობა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამისათვის. უმაღლესი საბჭოს კომისიები, კომიტეტები, მინისტრთა საბჭო ამისათვის მუშაობენ: ზოგი — ბიუჯეტზე, ზოგი — გადაუდებელ ღონისძიებებზე და ა. შ. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ.

ჩვენ უდიდესი პოტენციალი გვაქვს — ადამიანური, ინტელექტუალური, ბუნებრივი, ტექნიკური. მას უნდა მივცეთ ასპარეზი, ავამოქმედოთ ეს ბერკეტი. და მაშინ შევძლებთ გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ აყვავებულ ქვეყნად. ამაში მე არავითარი ეჭვი არ მეპარება. რატომ არის საჭირო კიდევ ნაკლები შევისყიდოთ, არ დავუკავშიროთ ჩვენი იმედები იმპორტს? ეს იმიტომაც უნდა მოვიმოქმედოთ, რომ არ მივეჩვიოთ სხვის მოიმედეობას. საკუთარი პრობლემები თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, ვისწავლოთ სხვაგვარად მუშაობა და ცხოვრება. ჩვენ ისე ვცხოვობთ, როგორც ვმუშაობთ. თუ უკეთესად ვიმუშავებთ, უკეთესად ვიცხოვრებთ. თუ გონიერები ვიქნებით — შეიცვლებით კიდეც! ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული! ჩვენვე უნდა შევიცვალოთ, მაშინ მთელი ჩვენი საზოგადოებაც შეიცვლება.

კითხვა. დაგვრთავენ თუ არა ლენინგრადის ოლქში თავისუფალი გაჭრების ზონის შექმნის ნებას?

გორბაჩოვი. უნდა განვიხილოთ.

კითხვა. რატომ ასახელებს ამხანაგი რიჟკოვი მინისტრების პოსტებზე იმათ, ვინც ქვეყანა ეკონომიკურ გაპარტახებამდე მიიყვანა?

გორბაჩოვი. ამაში ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, ჩვენი მთავრობა თვით ამხანაგ რიჟკოვის მეთაურობით უკანასკნელ ოთხ წელიწადში შეიქმნა, ამიტომ, იმის თქმა, რომ ამ მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყნის გაპარტახებისათვის, სწორი არ იქნება. უფრო მეტიც, იმ მინისტრების ნაწილი, რომლებიც მთავრობის წინანდელ შემადგენლობაში მუშაობდნენ, არ შემოუთავაზებია ამხანაგ რიჟკოვს, კანდიდატურების ნაწილი კი, როგორც მრგეხსენებთ, უარყო უმაღლესმა საბჭომ.

კითხვა. მიხეილ სერგის ძევ, რატომ შეწყდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების სრული სატელევიზიო ტრანსლაციები? ეს უკან გადადგმული ნაბიჯად მიმაჩნია.

გორბაჩოვი. აქ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა და უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მთლიანად უნდა გვეჩვენებინა. და ჩვენ ამას ვუჩერთ მხარს. ყრილობა აჩვენეს პირდაპირი ტრანსლაციით, უმაღლესი საბჭოს სხდომები კი ჩანაწერით, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფერს აჩვენებენ. მაგრამ არსებობს გარკვეული ფარგლები. ამბობენ, ისედაც ღამის ორ საათზე მთავრდება ტრანსლაციაო. იყო წინადადება: გვეჩვენებინა უმაღლესი საბჭოს სხდომები საღამოს, როცა ხალხი ძირითადად შინ არის. დაე, თვითონ მათ გადაწყვიტონ — უყურონ თუ არა. უნდა ვთქვა, რომ როცა ყრილობა მუშაობდა, ბევრი არ მუშაობდა. **(სიცილი.)** და თქვენ, ალბათ ამას დამიდასტურებთ. მაგრამ ჩვენ იმის მოძებნენი ვართ, რომ გაუშუქება სრული ყოფილიყო, და შემდეგაც, როცა უმაღლესი საბჭო იმუშავებს, ასეთ მითითებას დავიცავთ — უნდა იყოს სრული ინფორმაცია. არა მთლიანი, მაგრამ სრული. ვიმეორებ: ძირითადად ტელევიზია პრაქტიკულად ყველაფერს აჩვენებს.

კითხვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება არჩევნებისადმი მხოლოდ ტერიტორიული და ერ-ოვნულ-ტერიტორიული ოლქების მეშვეობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარეშე?

გორბაჩოვი. იცით, თუმცა ბევრი დავა იყო, მაგრამ კანდიდატების დასახელებას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან თან სდევდა აზრთა, მსჯელობათა და ინტერესთა მრავალფეროვნება. საერთოდ კი ვიტყვი, მეფიდეთ საკმაოდ ძლიერი შეესება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. ითვეთ ეკონომისტები, ჩვენი ინტელიგენციის სხვა რაზმების წარმომადგენლები — მათ ხომ მნიშვნელოვანწილად გაიარეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები. იყო იმის კრიტიკა, თუ როგორ მიმდინარეობდა დასახელება კანდიდატებისა პარტიისაგან, მაგრამ რაც შეეხება პარტიისაგან დასახელებული ამხანაგების პერსონალურ შემადგენლობას, პრაქტიკულად მათ გამო კრიტიკა არ ყოფილა. ძალიან ძლიერი შემადგენლობაა!

მაშ, რატომ იყო, რომ გენერალური მდივანი თითქოს „ჩამოშორდა ხალხს“ არჩევნებზე. მინდა გაგაცნოთ გენერალური მდივნის ფიქრები. თავიდან მინდოდა კენჭი მეყარა ტერიტორიულ ოლქში. მაგრამ მაშინ იტყოდნენ: გენერალური მდივანი პარტიას სტოვებსო. მეტი მითქმა-მოთქმა იქნებოდა. ამიტომ ასე ვთქვი: დაე, ყოველივე ეს განსაჯონ, დაე, ყველამ გააანალიზოს, სწორი გადაწყვეტილება მოინახება.

კითხვა. თქვენი დამოკიდებულება რელიგიისადმი?

გორბაჩოვი. ამ საკითხში ჩვენი კონსტიტუციის პოზიციებზე ვდგავარ და მიმაჩნია, რომ ისინი თანამიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს.

კითხვა. პირადად თუ გწამთ ღმერთი?

გორბაჩოვი. არა, რა თქმა უნდა! თუმცა ვიცი, რომ მონათლული ვარ და ნათლობისას სახელი შემიცვალეს.

კითხვა. როგორ ეკიდებით პირდაპირ არჩევნებს საბჭოებში, პარტიაში?

გორბაჩოვი. რაზეა ლაპარაკი? უმაღლესი თანამდებობის არჩევნებზე?

ხმა. უმაღლეს თანამდებობებზე.

გორბაჩოვი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი თქვენს ხელთაა. მაგრამ არ მომწონს პრეზიდენტის არჩევნების პრაქტიკა, და თვით სიტყვა „პრეზიდენტიც“ — ეს ცოტა არ იყოს არ ეთანხმება ჩემს მრწამსს. უფრო მეტად მომწონს: საბჭო, კოლეგია, პრეზიდიუმი, რომელიც ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებს შეიცავს. ვფიქრობ, ეს უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს დემოკრატიას, ჩვენი ფედერაციის მოთხოვნილებებს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, გადაწყვიტოთ რეფერენდუმზე: ეს ხელისუფლება გვჭირდება თუ სხვანაირი?

რაც შეეხება არჩევნებს პარტიაში, აქ ტრადიციები მოდის ლენინისაგან და ეს არ უნდა უგულებელვყოთ. ერთი რამ საჭიროა, რომ ჩვენი საინგარიშო-საარჩევნო კამპანიები დემოკრატიული იყოს. ეს სულ უფრო მეტად და მეტად იჩენს ახლა თავს. ვფიქრობ, რომ მომავალი საინგარიშო-საარჩევნო კამპანია პარტიაში წინანდელებისგან ძლიერ იქნება განსხვავებული. შინაპარტიული დემოკრატიული პროცესი ძალას იკრებს.

კითხვა. თქვენი აზრი სახელმწიფო მიღების შესახებ?

გორბაჩოვი. როცა გაიმარჯვებს სამეურნეო ანგარიში და ყოველი საწარმო დაინტერესებული იქნება გამოუშვას ხარისხიანი პროდუქცია, მაშინ სახელმწიფო მიღება აღარ დაგვჭირდება. თუ თქვენ ამისათვის მომწიფდით, შეგიძლიათ ახლავე გააქქმოთ.

კითხვა. ამხანაგო გენერალურო მდივანო, როგორ ეკიდებით ეკონომისტ ლუნტიევის — რუსული წარმომბის ამერიკელის გამოთქვამს ჩვენს საწარმოებში უცხოელი სპეციალისტების კონსულტანტებად გამოყენების შესახებ?

გორბაჩოვი. დადებითად, ისევე როგორც გამოცდილების გადაღებას, რომელიც ეხება ტექნოლოგიას, ფინანსთა, კრედიტის, ბანკების საქმიანობის ორგანიზაციას, — ამ საქმეში მათ ბევრი სასარგებლო რამ აქვთ დაგროვილი. ეკონომიკის მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის დრის ეს გამოცდილება ჩვენთვის სასარგებლო იქნება. სხვათა შორის, ასეთი კონტაქტები უკვე არის. ასეთი თანამშრომლობა უკვე მიმდინარეობს.

კითხვა. რა აზრისა ხართ პრივილეგიებისა და შეღავათების გადასინჯვის მიზანშეწონილობის შესახებ?

გორბაჩოვი. ჩვენ, ამხანაგებო, აი რაზე შევთანხმდით. ძალიან დიდი დისკუსია მიმდინარეობს შეღავათებისა და პრივილეგიების თაობაზე. მე ვეკუთვნი ზომიერ ადამიანებს, მაგრამ მაინც უფრო დიდი საკითხების რადიკალური გადაწყვეტის მომხრე ვარ. წინათ შეგონა, რომ ეს ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდა გადაწყვეტილყო. მერე გამვითხოვე შესაბამისი მასალები და გამოაცა სისტემამ, რომელიც ამ სფეროში ყალბდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

მოვთხოვეთ ინფორმაცია პროფკავშირებს — რა აქვთ საწარმოებსა და პროფკავშირებს. თურმე, სამეურნეო ანგარიშის, როგორც რესპუბლიკური, ისე საოლქო სამეურნეო ანგარიშის ფინანსურ შედეგად საწარმოებშიც საწარმოთა შესაძლებლობანი ფართოვდება, შეღავათების მოცულობაც გაიზრდება. რესპუბლიკებშიც, ოლქებშიც უკვე ჩნდება ბევრი საწარმო, რომლებსაც აქვთ, ასე ვთქვათ, თავიანთი „ნაღები“. არის სამედიცინო ნაწილები, რომლებიც უკვე აღემატებიან ნებისმიერ ჩვენს სამედიცინო ნაწილს. არის საწარმოები, რომლებსაც აქვთ სანატორიუმები შავ ზღვაზე, პანსიონატები რიგის და ფინეთის ყურეებში. მაგრამ ეს ხომ კოლექტივის მიერ არის გამომუშავებული — დაე, მანვე განაგოს.

მეორე მხრივ, არსებობს სტიმულირების თავისებური სისტემა მეცნიერებაში — აკადემიკოსებისათვის წოდების მინიჭების, გარკვეული წახალისების, შეღავათების მეშვეობით, არის შეღავათები სამხედროების, ვეტერანების ნაწილისათვის, სოციალისტური შრომის გმირებისათვის და ა. შ.

ერთი სიტყვით, არსებობს დაკანონებული პრივილეგიებისა და შეღავათების მეტად განშტოებული ქსელი. ეს იმდენად რთული საკითხია, რომ მას უბრალოდ ვერ გადაეწყვეტთ რაღაც სასადილოების ან მაღაზიების დახურვით. ან, მაგალითად, უმაღლეს საბჭოში აღიძრა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს საკითხი. მაგრამ ასეთი პოლიკლინიკები ხომ ემსახურება არა მხოლოდ პარტიფუნქციონერებს, არამედ ადამიანების დიდ წრეს — სამინისტროებსაც, შემოქმედ მუშაკებსაც, ვეტერანებსაც და ა. შ.

ბოლო მოთხოვნები ასეთია — ყველა უნდა გავაუქმოთ. მაგრამ ვფიქრობ, — და ახლა უკვე ამას მოვკიდეთ ხელი, — რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყველაფრის ინვენტარიზაცია. ყურადღებით უნდა გავერკვეთ იმაში, რა დაგვიგროვდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შეღავათებისა და პრივილეგიების როგორი სისტემა ჩამოყალიბდა. და ყველაფერი, რაც მიჩნეული იქნება კანონიერად, — უნდა დავამტკიცოთ, რაც მიჩნეული იქნება უკანონოდ, უნდა გავაუქმოთ.

ხმა. მიხეილ სერგის ძევ, ალბათ ამ თვალსაზრისით არ ყოფილა კითხვა დასმული.

გორბაჩოვი. მაშ როგორი თვალსაზრისით იყო?

ხმა. თუ ახლა ასეთი ძნელი პერიოდი გვაქვს, მას თანაბრად უნდა გრძნობდეს ალბათ ყველა, როგორც ჩვენ, ისე აკადემიკოსებიც. თუ ვისხდებით, როგორც იტყვიან, შავ პურზე, — უნდა ვისხდეთ როგორც ჩვენ, ისე ისინი? ან, ამ თვალსაზრისით.

გორბაჩოვი. მაგრამ საჭიროა შრომის ანაზღაურების დიფერენციაცია. ისე რომ არ გამოგვიდეს, როგორც განვითარებადს ქვეყნებშია, საიდანაც ყველაზე ძლიერი მეცნიერები ამერიკაში მიემგზავრებიან. ისინი ხომ ტალანტები არიან! ამიტომ სოციალიზმის პრინციპი უნდა დავიცვათ, ამხანაგებო. ფული უნდა გადავუხადოთ შრომის რაოდენობისა და ხარისხისათვის. მაგრამ ამასთან გარანტირებული უნდა იყოს სოციალური დაცულობის დონე, რომელიც უნდა გავრცელდეს ყველა მშრომელზე. ამ დონეზე ზევით კი საჭიროა ტალანტის, ნიჭის, შრომითი წვლილის სტიმულირება და ა. შ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი სტიმულირებული უნდა იყოს ხელფასით. ეს უნდა გახდეს ძირითადი პრივილეგია — დაე, ყველა სარგებლობდეს კეთილდღეობით, რომელსაც ხელფასი მოუტანს.

ხმა. აი სწორედ ამაზე ვლაპარაკობთ! **(ტაში).**

კითხვა. მწვავე დეფიციტურ სამრეწველო საქონელს ქალაქლენინგრადში წინასწარი განაცხადებით უნაწილებენ მხოლოდ ომის ვეტერანებს, ავღანელ ვეტერანებს. არაფერი მაქვს მათი შეღავათების საწინააღმდეგო, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ვისაც არ ჰყავს ვეტერანი ნათესავები, და ნაცნობები? ვერ ვყიდულობთ ვერც სარეცხ მანქანას, ვერც ტელევიზორს, ვერც მაცივარს, თუ არ ვიპოვეთ ვინმე უპატიოსნო ვეტერანი, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად გვიწევს ამ სამსახურს. მოდით, საქონლის ნაწილი მოხმარდეს მათ დაკმაყოფილებას, ნაწილი კი თავისუფლად გაიყიდოს.

გორბაჩოვი. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა. ნაწილი ხმარდება მათ.

ხმები. არა.

გორბაჩოვი. სერიოზული საკითხია. ამასთან მაქვს ასეთი წერილი: „რა ღონისძიებები ხორციელდება საბჭოთა მილიონერების ლაკვიდაციისათვის“? თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი არიან?

ხმები. დიახ.

გორბაჩოვი. ჩვენ მტკიცედ უნდა დავადგეთ ასეთ გზას. პირველი და ყველაზე მთავარი: აღმოვფხვრათ გათანაბრება, და გადავუხადოთ მხოლოდ გამომუშავებული ფული. მტკიცედ ვებრძოლოთ უშრომელ შემოსავალს.

შეიძლება წამოიჭრას კითხვები კოოპერატივებთან დაკავშირებით. მოსკოვში იყო შემთხვევა, როცა ერთი კომუნისტი მოვიდა სამი მილიონი მანეთიდან პარტიული შესატანის გადასახდელად. მე ვიტყოდი, რომ ეს ანომალიაა. და ამას მტკიცე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით მიღებულია კოოპერატივების დაბეგვრის სისტემაც. საჭიროა მისი რეგულირება, რათა დიდი პოლარიზაცია შემოსავალში არ იყოს. მაგრამ რაღაც პოლარიზაცია-იქნება და კიდეც უნდა იყოს. სხვაგვარად არარად იქცევა შრომის ანაზღაურების პრინციპი — სტიმულირება შრომის რაოდენობისა და ხარისხისათვის.

კითხვა. როგორ უყურებთ საბალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატიული საამქროების შექმნას ისეთ დიდ გაერთიანებებში, როგორიც იჟორის ქარხანაა?

გორბაჩოვი. საერთოდ, დაამუშავეთ ეს საკითხი. ისე ხომ არ გამოვა, რომ თქვენთან ყველამ ამ კოოპერატივს მიაშუროს. **(სიცილი).**

კითხვა. გვიპასუხეთ კითხვაზე, რომელზეც პასუხის გაცემა არსად არ შეუძლიათ, — არც რაიაღმასკომში, არც ქალაქში. შეიიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით აქვს თუ არა უფლება სამხედრო მოსამსახურეს ჩამოვიდეს ჩემთან ოჯახთან ერთად და ჩაეწეროს? მიიღებთ თუ არა მათ საცხოვრებელი, აქვთ თუ არა უფლება დადგნენ ბინის რიგში?

გორბაჩოვი. საერთოდ, ასე მიმაჩნია: ყველას, ვინც მსახურობს, — მხედველობაში მყავს ოფიცრები, — უურადღებით უნდა მოვეკიდოთ. უცვლელი უნდა იყოს ჩვენი ის პატივისცემა არმიისადმი, როგორიც იყო ათწლეულების მანძილზე. ეს ჩვენი არმიაა, იგი ემსახურება ხალხს, იგი უზრუნველყოფს მის უშიშროებას. გარწმუნებთ, თქვენ ის საჭიროა ტალანტის, ნიჭის, შრომითი წვლილის სტიმულირება და ა. შ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი სტიმულირებული უნდა იყოს ხელფასით. ეს უნდა გახდეს ძირითადი პრივილეგია — დაე, ყველა სარგებლობდეს კეთილდღეობით, რომელსაც ხელფასი მოუტანს.

ხმა. აი სწორედ ამაზე ვლაპარაკობთ! **(ტაში).**

კითხვა. მწვავე დეფიციტურ სამრეწველო საქონელს ქალაქლენინგრადში წინასწარი განაცხადებით უნაწილებენ მხოლოდ ომის ვეტერანებს, ავღანელ ვეტერანებს. არაფერი მაქვს მათი შეღავათების საწინააღმდეგო, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ვისაც არ ჰყავს ვეტერანი ნათესავები, და ნაცნობები? ვერ ვყიდულობთ ვერც სარეცხ მანქანას, ვერც ტელევიზორს, ვერც მაცივარს, თუ არ ვიპოვეთ ვინმე უპატიოსნო ვეტერანი, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად გვიწევს ამ სამსახურს. მოდით, საქონლის ნაწილი მოხმარდეს მათ დაკმაყოფილებას, ნაწილი კი თავისუფლად გაიყიდოს.

გორბაჩოვი. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა. ნაწილი ხმარდება მათ.

ხმები. არა.

გორბაჩოვი. ეს ასეა. ეს ასეა. ეს ასეა.

უკსოეთში საკვლევი იუწყება
22 აგვისტო

● უნგრეთი

ძირეული განახლების გზით

გუდაპეშტი. პოლიტიკური განახლების საფუძველი მუდამ არის ეკონომიკის განახლება, რადგან ეს ორი დარგი განუყოფელია დაკავშირებული ერთმანეთთან, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარემ რ. ნიერეშმა ქალაქ მიშკოლცში გამართულ მიტინგზე, რომელიც მოეწყო უნგრეთის სახელმწიფოს დამაარსებლის წმინდა სტეფანეს დღესასწაულის გამო.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, აღნიშნა ორატორმა, წინ მიიწევს ძირეული პოლიტიკური განახლების გზით. ერთი წლის წინათ გამოცხადებულია განახლების პროგრამამ ხელი შეუწყო გარდაქმნების ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. ამ პერიოდის დამამთავრებელი ნიშანსვეტი იქნება პარტიის ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია აპირებს გამოიყენოს თავისი ისტორიული წარსულის ყველა ღირებულება და გაემიჯნოს იმ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც მის განვითარებას აბრკოლებდნენ. პარტია დარწმუნდა, რომ ორმოცდაათიანი წლების ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელი ყალბი იყო. 1956 წლის მოვლენები შეიძენა შეფასდეს როგორც ეროვნული ტრაგედია, რომელმაც შეაჩერა მნიშვნელოვანი რეფორმისტული წამოწყებანი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საპროგრამო განცხადების პროექტში, თქვა პარტიულმა ხელმძღვანელმა, გამოცხადებულია ახალი მოდელი, რომელსაც სახელმწიფო სოციალიზმიდან დემოკრატიული სოციალიზმისაკენ მივყავართ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია კვლავაც იქნება მუშათა პარტია. მაგრამ იგი აპირებს გახდეს მთელი ხალხის პარტია. ამ პარტიაში მოსახლეობის ყველა ფენა ნახავს შესაძლებლობებს, რათა მათი ინტერესები, აზრები და შეხედულებანი აისახოს პარტიის ფარგლებში. ასეთ პარტიაში ადგილს იპოვიან მეწარმენიც, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიულ სოციალისტურ პოლიტიკას, ხაზი გაუსვა ნიერეშმა.

◆ არგენტინა

უარი თქვეს კომპრომისზე

ბუენოს-აირესი. არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იბრძოლებს სუვერენიტეტისათვის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე.

ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის ბი-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი კვლავ პრიორიტეტულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, არ განიხილონ ეს პრობლემები ინგლის-არგენტინის მომავალ მოლაპარაკებაზე. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არგენტინა არ აპირებს თავისი პრინციპული პოზიციის შეცვლას ფოლკლენდის (მალვინის) არქიპელაგის მიმართ.

არგენტინისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკება მორიგების თაობაზე ამა წლის 17-18 ოქტომბერს უნდა გაიმართოს მადრიდში. შეხვედრაზე განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს. მათ შორის სამხედრო დარგში ნდობისა და ინციდენტების თავიდან აცილების ატმოსფეროს შექმნის ღონისძიებებს, სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობას.

რატომ აირჩიეს ჰიგინსი

პოდპოლკოვნიკი ჰიგინსი სამხედრო-საზღვაო ოფიცრის ფორმით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო კონტინგენტის ცისფერი ბერეტით, ჰიგინსი სახრჩობელაზე...

ასეთი ფოტოსურათები მრავლად არის ამერიკული გაზეთების პირველ გვერდებზე.

ჰიგინსის მკვლელობამ შეძრა მთელი მსოფლიო. პრეზიდენტმა ბუშმა ინცინდენტი შეაფასა, როგორც ყველაზე დიდი კრიზისი ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის შემდეგ.

ჰიგინსის მკვლელობას აქვს რამდენიმე გაურკვეველი მხარე. საქმე ის არის, რომ მისმა დანიშვნამ ლიბანში თავიდანვე მიიქცია ჟურნალისტთა ყურადღება. იგი ხომ ერთ-ერთი იმთაგანი იყო, ვინც სთვისაც მისაწვდომია პენტაგონის გასაიდუმლოებული ინფორმაცია. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობის პროტესტის მიუხედავად, მისი დანიშვნა ლიბანში გადაწყდა ყოფილი თავდაცვის მინისტრის უაინბერგერის კაბინეტში.

ახლო აღმოსავლეთში აკრედიტებული ბევრი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ჰიგინსი თანამშრომლობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ან ამერიკის არმიის სპეცსამსახურებთან და საგანგებოდ მოვლინეს ლიბანში. ისინი თითქმის დარწმუნებულნარიან, რომ ჰიგინსმა თვითონ უკარნახა ტერორისტებს თავისი გატაცება. მას დავალებული ჰქონდა გამოერკვია, თუ სად მალავენ ტერორისტები მძევლებს, ვისთან აქვთ კავშირი და ვინ ხელმძღვანელობს მათ.

ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს ისიც, რომ ჰიგინსი, თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, უიარაღოდ დადიოდა სამხრეთ ლიბანის საშიშ ზონებში. იგი ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ტერორისტებით სავსე უბნებში ისე, რომ ჯიბეში ჯაყვაც კი არ ეკიდა.

იმოწმებენ რა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კომპეტენტურ პირებს, ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ტერორისტებმა გაიგეს ჰიგინსის მისიის შესახებ და ამიტომ შეაჩერეს არჩევანი მასზე მრავალრიცხოვან მძევლებს შორის.

ჰიგინსის მისიის შესახებ ვაშინგტონში შეიძლება იცოდეს ხუთმა ან ათმა კაცმა, მათ შორის კასპარ უაინბერგრმა. მაგრამ ახლა, როდესაც ამერიკელი სამხედროები შურისძიების გეგმებს ამუშავებენ, ძნელია სიმართლის გაგება, ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებული ჟურნალისტი უილიამ სტეგელი.

ზია ტაბატაძე,
უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

● ჩრდილოეთ ირლანდია

ქალაქება — ცხოვრების წესი

ლონდონი. „ოცი წლის შემდეგ, რაც ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ ჩრდილოეთ ირლანდიაში, ძალადობამ იმსხვერპლა 2756 კაცი. ახლა საზარელ ამბებს ოლსტერის მცხოვრებნი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ“. ასეთი სიტყვებით იწყებს თავის რეპორტაჟს ჩრდილოეთ ირლანდიიდან ჟურნალ „ობსერვერ მეგეზინის“ კორესპონდენტი ჯული ფლინტი, რომელიც 20 წლის წინათ პროვინციაში ინგლისელი ჯარისკაცების შეყვანის მოწმე იყო.

„ბელფასტში, — წერს იგი, — ნორმალურად მიიჩნევენ, როცა გჩხრეკენ ქალაქის მთავარ სავაჭრო ცენტრში შესვლის დროს. ყველა მიეჩვია იმას, რომ ჰაერში გაუწყვეტლად დაფრინავენ ვერტმფრინავები“.

„როცა ბელფასტიდან მიემგზავრები, გგონია, რომ საპყრობილეს სტოვებ. ჩვენ გვყავდა ცივილიზებული საზოგადოება, მაგრამ ოცი წლის წინათ ყველაფერმა ნგრევა იწყო“.

„ფოტოფრინი“ — კიბოს საწინააღმდეგო საშუალება

ექსპერიმენტებმა მეცნიერებს უჩვენეს, რომ „ფოტოფრინი“ ადამიანის სისხლში არსებული ვირუსების მოსპობის საუკეთესო საშუალებაცაა.

ინექციის შედეგად „ფოტოფრინი“ კონცენტრირდება ავთვისებიან სიმსივნეში. მასზე ზემოქმედებას ახდენენ მცირე სიძლიერის ლაზერის სხივით, რომელიც ორგანიზმში შეაჯავთ სპეციალური ოპტიკური ბოჭკოვანი ძაფის საშუალებით, ყელის ან შარდსადინარი არხის გავლით.

სხივების ზემოქმედების შემდეგ გააქტიურებული პრეპარატი გამოიმუშავებს ტოქსინს, რომელიც კლავს კიბოს უჯრედებს.

პრეპარატის ერთადერთი მავნე თვისება ის არის, რომ იგი გროვდება კანის უჯრედებში. ამიტომ ავადმყოფს უარძალავენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში თაკარა მზის ქვეშ ყოფნას, რათა თავიდან აიცილონ მზის დამწვრობა.

ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოში წარდგენილი მონაცემებით, „ფოტოფრინის“ კლინიკურ პირობებში გამოყენების შედეგად 1983 წლიდან 1988 წლამდე, შემთხვევათა 75 პროცენტში აღნიშნულია კიბოს სიმსივნის გაქრობა.

(საკდესის მასალებიდან).

ეროვნული ნაკრძალი

ეთიოპიაში უოლოს პროვინციას სახელი გაეთქვა, როგორც ქვეყნის ყველაზე გვალვიან რაიონს. აქ მთელი წლის განმავლობაში არ ვარდება წვიმის ერთი წვეთიც კი, რამაც პროვინცია სტიქიურ უბედურებამდე მიიყვანა.

ქვეყანაში მიღებული ხუთწლიანი სასურსათო პროგრამის მთავარი მიზანია, მიწათმოქმედი რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე. აქ აშენებენ საირიგაციო სისტემებს, გაჰყავთ არხები, თხრიან ჭებს. მთელ რაიონებში ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად აშენებენ ტერასებს, სადაც გამოჰყავთ იშვიათი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ამასთან ერთად სახელმწიფომ გაზარდა დოტაციები გლეხთა ასოციაციისათვის, ეხმარება მათ პროდუქციის გასაღებაში.

სურათზე: უოლოს პროვინციაში, სადაც იშვიათად ნახავთ სასმელი წყლის წყაროს.

„ფოტოფრინი“ — კიბოს საწინააღმდეგო საშუალება

ეექსპერიმენტებმა მეცნიერებს უჩვენეს, რომ „ფოტოფრინი“ ადამიანის სისხლში არსებული ვირუსების მოსპობის საუკეთესო საშუალებაცაა.

ინექციის შედეგად „ფოტოფრინი“ კონცენტრირდება ავთვისებიან სიმსივნეში. მასზე ზემოქმედებას ახდენენ მცირე სიძლიერის ლაზერის სხივით, რომელიც ორგანიზმში შეაჯავთ სპეციალური ოპტიკური ბოჭკოვანი ძაფის საშუალებით, ყელის ან შარდსადინარი არხის გავლით.

სხივების ზემოქმედების შემდეგ გააქტიურებული პრეპარატი გამოიმუშავებს ტოქსინს, რომელიც კლავს კიბოს უჯრედებს.

პრეპარატის ერთადერთი მავნე თვისება ის არის, რომ იგი გროვდება კანის უჯრედებში. ამიტომ ავადმყოფს უარძალავენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში თაკარა მზის ქვეშ ყოფნას, რათა თავიდან აიცილონ მზის დამწვრობა.

ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოში წარდგენილი მონაცემებით, „ფოტოფრინის“ კლინიკურ პირობებში გამოყენების შედეგად 1983 წლიდან 1988 წლამდე, შემთხვევათა 75 პროცენტში აღნიშნულია კიბოს სიმსივნის გაქრობა.

(საკდესის მასალებიდან).

მომავლის ტრანსპორტი

ტრანსპორტი ელექტრომაგნიტურ ლიანდაგზე მომავალი ხუთწლედის რეალობაა, ამბობენ სპეციალისტები.

ელექტრომატარებლების შექმნაზე, რომლებიც საათში რამდენიმე ასეულ კილომეტრს გადიან, მუშაობენ იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩვენს ქვეყანაშიც მუშაობენ ამგვარი პროექტების განსახორციელებლად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მაგნიტოპლანის საუკეთესო ვარიანტის ძიება, რომლის დროსაც აქტიურად იყენებენ უცხოელი კოლეგების გამოცდილებას.

სურათზე: ეკოლოგიურად სუფთა, სწრაფი, საიმედო მატარებელი ელექტრომაგნიტურ ლიანდაგზე.



ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღაში** ვაცლავის მოედანზე ექსტრემისტები შეეცადნენ წესრიგის დარღვევას. დაახლოებით 1500 კაცმა მოაწყო უსანქციო დემონსტრაცია, რომელიც მიეძღვნა 1968 წელს აგვისტოში მომხდარი მოვლენების 21-ე წლისთავს.

● **კენიის** ეროვნულ ნაკრძალში მოკლეს მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი ზოოლოგი ჯორჯ ადამსონი. მეცნიერი და მისი სამი ასისტენტი დაიღუპნენ ბრაკონიერებთან ამტყდარი სროლის დროს. ვარაუდობენ, რომ მკვლელები სომალიდან არიან.

● **უცნობმა** პირებმა ორი გერმანული სახელმწიფოს საზღვარზე ტყვია დაუშინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო ნაგებობებს, სახლებს და სათემო ეკლესიას.

● **ირან-ერაყში** მოლაპარაკებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი იან ელიასონი დღეს მიემგზავრება ჟენევაში, სადაც შეხვდება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს.

როგორც აქ აღნიშნავენ, იგი ერთხელ კიდევ შეეცდება გამოძებნოს გამოსავალი ჩიხიდან, რომელშიც ირანისა და ერაყის მოლაპარაკება მოექცა.

ინგლისელი ჟურნალისტის ფიქრები

ბოლოდროინდელი გამოკვლევები და პუბლიკაციები ნათლად მეტყველებენ, რომ საქართველოს ისტორიაში ბლომადაა ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი საკითხები, ეგრეთ წოდებული „თეთრი ლაქები“. კერძოდ, წინა ათწლეულებისაგან განსხვავებით, დღეს ბევრი რამ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასა და საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით. ამჯერად სიტყვას ვუთმობთ იურისტს, რომელიც სამართლებრივი თვალთახედვით აფასებს აღნიშნულ მოვლენებს. კვლავინდებურად გთავაზობთ გაბედულ დასკვნებს, რადგან ღრმად გვწამს, რომ ჭეშმარიტება ნამდვილ პაექრობასა და აზრთა ჭიდილში იბადება.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთმიმართება საერთაშორისო-სამართლებრივ საწყისებს უნდა დამყარებოდა. ამ მხრივ განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტად იქცა ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივი მეცადინეობის შედეგად მოსკოვში 1920 წლის 7 მაისს დაიდო. მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან კი — საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ კარახანმა, რომელიც, სხვათა შორის, „ბრესტის ზავის“ ერთ-ერთი ხელისმომწერიც იყო (ლ. კარახანი, თბილისელი სომეხი, 15 წლის გიმნაზიელი იყო, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა).

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად რუსულ ენაზე (ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ტექსტი არაოფიციალურია). სასურველი იყო, რომ დედანი მეორე მხარის ენაზეც — ქართულადაც შეედგინათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ხელშეკრულების სავალდებულო ენას. იგი შეიძლება მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს. საერთოდ შესაძლებელია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ნებისმიერ ენაზე დაიდოს.

ხელშეკრულება დაბეჭდილია ოფიციალურ, კანონთა გამოსაქვეყნებლად განკუთვნილ ბეჭდვით ორგანოებში (ასეთ გამოცემაში მოთავსებული ტექსტი კი ავთენტიკური, დედნის ძალის მქონეა). მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების კრებულში, რომელიც რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა, იგი საზავო ხელშეკრულების სახელწოდებით შეტანილია კავშირ-ურთიერთობის დამყარების დოკუმენტთა განყოფილებაში.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ ასახა რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტით განმტკიცებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. მხარეები პრეამბულაში (შესავალ ნაწილში) აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობდნენ საერთო სურვილით — დაემყარებინათ ორ ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა თითოეულ მათგანში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ. ერთი სიტყვითი, 7 მაისის ხელშეკრულება უნდა გამხდარიყო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მქონე ამ ორი ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობისა და მჭიდრო თანამშრომლობის მყარი სამართლებრივი საფუძველი.

სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ ძალზე მოკლე ხანს, სულ რაღაც ცხრა თვის მანძილზე იმოქმედა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებით, მისი დამხობითა და საბჭოთა სისტემის შემოღებით დამთავრდა. ომმა, ცხადია, შეწყვიტა 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების მოქმედება.

საჯარო აზრის ბევრ ადგილას მიღებული იყო შეხედულება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო ქართველი მშრომელების აჯანყებისა და მათი მოწვევით მოსული საბჭოთა ჯარების ინტერნაციონალური ჩარევის, რუსეთის ფედერაციის „ცოტაოდენი სამხედრო დახმარების“ შედეგად. ახლა მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ღირებულებათა გადაფასება, რაც საქართველოს გასაბჭოების პრობლემასაც შეეხო. ამასთან დაკავშირებით ფართოდ და მწვავედ წამოიჭრა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების დარღვევის მიუკერძოებელი სამართლებრივი შეფასების საკითხი. დღეს „ჩვენ გვჭირდება, უწინარეს ყოვლისა, დაუმახინჯებელი, სრული სიმართლე სსრ კავშირში ეროვნებათაშორის ურთიერთობათა განვითარების რეალური პროცესების შესახებ, იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მწვავე კოლიზიები ეროვნებათშორის საქმეებში. აქ არ უნდა დაგვრჩეს „თეთრი ლაქები“. ყოველივე ეს აუცილებელია ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის“ (სკკპ პლატფორმის პროექტი — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე 1989 წლის 29 მაისს გამოცხადდა ქართველ სახალხო დეპუტატთა პოზიცია ყრილობისადმი და საქართველოსთან მიმართებით დაისვა რამდენიმე პრინციპული ხასიათის საკითხი (იხ. 1989 წლის 31 მაისის „იზვესტია“, 27 და 31 მაისის „კომუნისტი“ და 26 მაისის „თბილისი“).

ქვეყნის მთელი პოლიტიკური სისტემის არსებით შეცვლასთან დაკავშირებით ქართველმა დეპუტატებმა, კერძოდ, მოითხოვეს, რომ „დაიგმოს 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ანექსია, როგორც თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოს — დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევა.

ამ ხელშეკრულების ფუძემდებელი პრინციპები იურიდიულად მართლზომიერად იქნეს ცნობილი თანამედროვე პირობებშიც, როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკის რეალური და სრული სუვერენიტეტის უზრუნველყოფის გარანტია“.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ფუძემდებელ პრინციპად, რომლებზეც ლაპარაკია ქართველ დეპუტატთა ზემოაღნიშნულ მიმართვაში, იგულისხმება საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ცნობა ყოველგვარი პირობის გარეშე და, აქედან გამომდინარე, სრული ჩაურევლობა მის საშინაო საქმეებში (ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლებში). ამ გარემოების გათვალისწინებით ქართველ დეპუტატთა განცხადება, რომ ხსენებული პრინციპები „იურიდიულად მართლზომიერად იქნეს ცნობილი თანამედროვე პირობებშიც“, არსებითად სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და განცალკევებულად ყოფნის მოთხოვნად აღიქმება. ასეთი საკითხის საქვეყნოდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად წამოჭრა კი მხოლოდ და მხოლოდ მთელი ხალხის საქმეა, თვით ქართველი ერის პროგრესგტივაა.

კორექტულად და ზომიერად, წინასწარი შეფასების გარეშე დასვა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის საკითხი ყრილობაზე რესპუბლიკის ლიდერმა. მისი სიტყვით, „ნამდვილად რომ მივცეთ ძალაუფლება საბჭოებს, დროა ვიცოდეთ, თუ როგორ მკვიდრდებოდა ეს ძალაუფლება საქართველოში 1918-1921 წლებში, სამართლიანი ისტორიული შეფასება მივცეთ ვ. ი. ლენინის მიერ მოწონებული საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულების დარღვევას, ობიექტურად განვიხილოთ ამ ხელშეკრულების ფუძემდებელი პრინციპები დღევანდელ დღესთან მისადაგებით, ობიექტურად აღვადგინოთ ამ წინააღმდეგობრივი ეპოქის ცნობილ მოღვაწეთა პოლიტიკური პორტრეტები“ („კომუნისტი“, 1989 წლის 9 ივნისი).

საერთოდ, 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს გასაბჭოების შეფასების საკითხის დაყენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენად აღიქვეს საქართველოში.

ყრილობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა დეპუტატებმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ „ჩვენი დეპუტაციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ყრილობაზე დაყენებული საკითხი: 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს ანექსიად ჩაითვალოს; რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების ფუძემდებლურმა პუნქტებმა აღიდგინონ ძალა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ. ყრილობაზე ამ საკითხების დაყენებით დიდი საქმე გაკეთდა, ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, იგივე მიზნისაკენ მსწრაფ ბალტიისპირელებთან შედარებით — ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი ყრილობის დოკუმენტებში დაფიქსირდა, ბალტიისპირელებმა კი საგანგებო კომისია უნდა გაიარონ საკითხის ამ დონემდე მისაყვანად“(?!); „25 თებერვლის აქტს ასე მოურიდებლად და გარკვევით ანექსიის ფორმულირება მივეცით — ეს არ უნდა ნიშნავდეს ცოტას“ („თბილისი“, 1989 წლის 22 ივნისი).

განსახილველი საკითხი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია და ქართველი ხალხის ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება. მით უფრო ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პრობლემის გამოწვლილვით შესწავლისა და თავდაპირველად რესპუბლიკურ დონეზე ყოველმხრივი განსჯის გარეშე მისი საკავშირო და მსოფლიო მასშტაბის სამსჯავროზე დიახაც მოურიდებლად გატანა მაინცდამაინც სანაქებო საქმედ ვერ ჩაითვლება. საკითხი კი ჯეროვნად რომ არ არის შესწავლილი და ჯერჯერობით საერთოდ მოუმზადებელია, ამის თვალსაჩინოდ დამადასტურებელი ფაქტები ყოველდღიურად გვხვდება ჩვენს პრესაში. თუნდაც მარტო ის რადა ღირს, რომ საქართველოს გასაბჭოებას პრესის მასალების მიხედვით სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა, როგორიცაა, სახელდობრ, ანექსია ანდა „ფარული ანექსია“, ოკუპაცია, ინტერვენცია, პოლიტიკური სისტემის ექსპორტი და ა. შ. ასეთი ვითარებისას, როდესაც საკითხი ჯერ თვითთონაც საკმაოდ ვერ გაგვიაზრებია, ყრილობაზე მისი განხილვის შემთხვევაში ხომ ფართო გასაქანი მიეცემოდათ ჩვენს არცთუ მცირერიცხოვან „კეთილისმყოფელთ“. აკი ერომმა მათგანმა, იმ ავად სახსენებელმა გენერალმა ყრილობაზე აუგად მოიხსენია ქართველ მომტინგეთა მოთხოვნა, რომ „1921 წლის 25 თებერვალი ეცნოთ რუსეთის ბოლშევიკური ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციის დღედ“ (იხ. 1989 წლის 1 ივნისის „იზვესტია“ და „კომუნისტი“). სახელმწიფო ორგანოში, სადაც „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობაა“, მარტოოდენ „მოურიდებლად და გარკვევით“ ფორმულირება ვერ გიშველის,— ვერას გააწყობ, თუკი უცილობელი არგუმენტებით არ იქნები შეიარაღებული.

მისასალმებელია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისია, რაც მოიწონა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. როგორც პრესაში იტყობინებიან, კომისია ინტენსიურად და ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. რა თქმა უნდა, სათანადო ანგარიში გაეწევა ამ ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ საყურადღებო მასალებს, რომელნიც გარკვეულწილად წინამდებარე სტატიაშიც აისახა. კომისიის დასკვნაზე იმსჯელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია. ოღონდ საჭირო იქნება, რომ მანამდე კომისიის მუშაობის შედეგებს გაეცნოს ფართო საზოგადოებრიობა.

1921 წლის 25 თებერვლის აქციისა და შემდგომი პერიოდის მოვლენების სამართლებრივ შეფასებაში, ბუნებრივია, სწორედ იურიდიული ნიშან-თვისებების განხილვა და ჩამოყალიბება იგულისხმება. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ მხარეს, ეს ერთ-ერთ ადგილზე ეკითხებოდა პარტიის იმდროინდელ ერთადერთ პოლიტიკას. ასეთი სამხედრო „დახმარება“ დაასაბუთა და გამართალი სტალინმა. რა(ბ) XII ყრილობაზე. მან მოიშველია მარქსიზმ-ლენინიზმ ფეტიშად „ბოლო“ საკითხთან ერთად ერთგვარი ეროვნული საკითხის დაქვემდებარებული მნიშვნელობის შესახებ და აღნიშნა: კომუნისტებმა, მართალია, არ უნდა აწყენინონ ნაციონალებს, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს დაბრკოლება იმ საქმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი დიქტატურის უფლება. „ასე იყო საქმე, მაგალითად, 1920 წელს, — თქვა სტალინმა, — როდესაც ჩვენ, მუშათა კლასის ძალაუფლების დაცვის ინტერესებისათვის, იძულებული გავხდით წავსულიყავით „ვარშავაზე“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 292-294). ზუსტად ასევე, „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობის“ გათვალისწინებით „წავიდა“ მე-11 არმია ბაქოზე, ერევანსა და თბილისზე. ასე, ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის მოტივით „მართლდება“ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან სამხედრო ჩარევა სხვა ქვეყნის საქმეში. ამ ტენდენციის ბოლოდროინდელ გამოვლინებად „საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის“ ქაბულზე „წასვლა“ წარმოგვიდგება.

ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ საქმე საქმეზე მიდგებოდა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა ბოლშევიკების თავში საცემ პრაქტიკულ პრობლემად იქცეოდა, სტალინი მტკიცედ მოითხოვდა რუსეთის დროებითი მთავრობისაგან, რომ იმპერიაში შემავალ ხალხებს დაუყოვნებლივ მისცემოდათ შესაძლებლობა თავიანთ დამფუძნებელ კრებებზე განესაზღვრათ საკუთარი პოლიტიკური წესწყობილების ფორმები. მაშინ იგი წერდა, რომ „არავის არა აქვს უფლება ძალდატანებით ჩაერიოს ერების საშინაო ცხოვრებაში და ძალით „გაასწოროს“ მათი შეცდომები. ერები სრულუფლებიანი არიან თავიანთი საშინაო ცხოვრების საქმეებში, და მათ უფლება აქვთ თავიანთი სურვილისამებრ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება“ (თხზ., ტ. 3, გვ. 236). 1920 წლისათვის კი სტალინი, მისივე სიტყვით, გადაჭრით უკუაგდებდა „რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნას, როგორც კონტრრევოლუციურ წამოწყებას“. სამაგიეროდ „ჩვენ, — გულმოწყალედ ამბობდა იგი, — ანტანტისაგან ინდოეთის, არაბეთის, ეგვიპტის, მაროკოს და სხვა კოლონიების გამოყოფის მომხრენი ვართ“ (ტ. 4, გვ. 405-406).

ყურადღებას იქცევს სტალინის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სტალინი მარტო საქართველოს მიმართ როდი იყო ასე განწყობილი. მის იდეალს წარმოადგენდა ახლებურად ორგანიზებული „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ზემძლავრი სახელმწიფო. ამიტომაც ვერ ურიგდებოდა და აგდებულადაც უყურებდა „ხალხთა საპყრობილიდან“ თავდალწეული ერების დამოუკიდებლობას. საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკისადმი მიძღვნილ სტატიაში 1920 წლის 10 ოქტომბერს იგი წერდა: „ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, ჰოლოენეთის, ფინეთისა და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“ (ტ. 4., გვ. 384-385). ოგვიანებით, 1920 წლის ოქტომბრის ბოლოს, გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელთან საუბრისას სტალინმა განაცხადა, რომ „II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-მა კაუცკიმ... თავშესაფარი პპოვა დამყაყებულ... საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან“. მან, ამასთანავე, თვალბედითი წინასწარმე

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი



დავაწესოთ „სანთლის დღე“

აი, კიდევ ერთი ჩინებული ჩანაფიქრი ჩვენი სახელოვანი მხატვრის ზურაბ წერეთლისა. ეს ჩანაფიქრი ჩამოყალიბებულია მიმართვაში და ამეტყველებულია ესკიზში, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ გადმოსცა რედაქციას ხელოვანმა.

ზურაბ ნერეთელი მიმართავს ქართველ ხალხს, მთელ საქართველოს:

— საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე ჩემი გამოსვლა ვერ მოხერხდა, ამიტომ ყრილობის პრეზიდიუმს გადავეცი გამოსვლისა და მიმართვის ტექსტები, რომლებიც კომისიებზე დამუშავდა.

გამოსვლაში მინდოდა მელაპარაკა იმ პრობლემებზე, დღევანდელ ქართულ სოფელს რომ შეუქმნა მიგრაციამ, ხოლო მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაში ვაცხადებდი, რომ საჭიროა მთელ მსოფლიოში ყოველ წელს აღინიშნოს ერთი დღე — „სანთლის დღე“. საინტერესოა, რომ ამ მოწოდებას უკვე გამოეხმაურნენ ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი, ალბანეთი... და რახან ჩვენთანაც ეს აზრი ყველა დონეზე მოწონებულია, ვთვლი, რომ პრაქტიკული ნაბიჯები ამ საქმის განხორციელების გზაზე სწორედ საქართველომ უნდა გადადგას.

რა არის ამისთვის საჭირო?

წელიწადში ერთ დღეს, ჩემი აზრით 26 მაისს, ყველა ქართულ ოჯახში დაინთება სანთელი, რითაც პატივს მივაგებთ იმათ, ვინც მამულის სიყვარულის გამო დაიხოჯა. განა ასე არ იყო 1921-1924-1937-1956 წლებში, აი, ახლახანაც — 1989 წლის 9 აპრილს? ეს ტრაგიკული თარიღები ქართული ხისხლით არის გაულენთილი... იმ დაღუპულთა ხსოვნას უნდა დავუნთოთ სანთელი...

ეს უნდა იყოს დღე, როდესაც კაცი მარტო რჩება თავის თავთან, მაგალითს აძლევს შთამომავლობას, თუ როგორ უნდა დავფასოთ წინაპრის თავდადება.

აქვე წარმოგიდგენთ „სანთლის დღის“ აღსანიშნავ ძეგლის ესკიზს. იგი წარმოადგენს მარმარილოს სანთელს, რომელზეც ქვემოთ დაკიდებულია ბრინჯაოს ზარი, ხოლო ძირში ყრია საქართველოს ყველა კუთხიდან მოზიდული ქვაჯვრები. ჭითზე ამოიტვიფრება ჩვენი ისტორიის ტრაგიკული თარიღები, ლეკსები, რომლებიც უდრეკ ქართულ სულს ეძღვნება. ყოველ წელს, 26 მაისს, მომავალი თაობა, ბავშვები მიეახლებიან ძეგლს (ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ იგი დაიდგმება სანაპიროზე — დედაენის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს), აანთებენ მარმარილოს სანთელს, თავიანთ სანთლებსაც — თითო-თითო ღერს მიამაგრებენ ძეგლს და ამით გაიხსენებენ სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილ წინაპრებს.

...და ეს იქნება კიდევ ერთი ნიშანი არდავიწყებისა.

ზურაბ წერეთელი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

● **ქართული ხალხური სიმღერა ყვავილებით მოჩითულ მდელოს ჰგავს, ყვავილის სურნელი და ფერადოვნება, მიწიდან ამოტანილი სინედლე და სიდიადე აქვს. ბედნიერია ის, ვინც ამ მდელოს დარაჯად უდგას, ვინც მის მკერდზე იძინებს და იღვიძებს, მისი ნექტარით საზრდოობს და სხვასაც ასაზრდოებს.**

ედიშერ გარაყანიძეს

ცხრა წლის წინათ სრულიად ახალგაზრდამ, თბილისის კონსერვატორიის მეზუთეკურსელმა ჩამოაყალიბა ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“. მან შემოქმედებით პრინციპად დაისახა, ანსამბლს ისე შეესრულებინა ხალხური სიმღერა, რომ იგი ზედმიწევნით მიახლოებოდა სოფლურს, გლეხურს, პირველწყაროს, როგორც იგი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ყღერდა. მისი აზრით, ქალაქელთა შესრულებით ხალხური სიმღერა ხშირად ბევრ თვისებას კარგავს — კუთხურ კოლორატს, სილაღეს, იმპროვიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად ხელმძღვანელსაც და ანსამბლის წევრებსაც არაერთი ექსპედიციის მოწყობა, ძველი ჩანაწერების მოძიება და ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა სიმღერის მანერის გათვისება დასჭირდათ. ასე რომ, დღეს „მთიების“ სიმღერა იმ თავისებური რიტუალებით აღსავსე სპექტაკლიც არის, რომელთანაც დაკავშირებულია ესა თუ ის ხალხური ქმნილება. ანსამბლის წევრები, თუ საჭირო, კიდეც ცეკვავენ და კიდეც უკრავენ.

და მაინც, ყველაზე დიდმნიშვნელოვან მისიად ანსამბლი სოფლის ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით მოსწავლეებისათვის ეროვნული ტრადიციების გამართვის მიიჩნევს. ყმაწვილებს უხსნიან სიმღერის არსს, გენეზისს, დანიშნულებას, რათა ყმაწვილებმა რაც შეიძლება მეტი იცოდნენ მათი კუთხის სიმღერებზე. ბავშვობაში გაგონილი და მოსმენილი ხომ გაცილებით ღრმად აღიბეჭდება ხოლმე მეხსიერებაში. თვით ედიშერი იგონებს: „ერთხელ მამამ და მამიდებმა ისეთი სიმღერები მიმღერეს, რომლებიც ათიათიცაან წლებში ჰქონდათ ნასწავლი სკოლაში. გავოცდი, როცა უშეცდომოდ შეასრულეს ის, რაც ლამის ნახევარი საუკუნის მანძილზე არ უმღერიათ“. ამიტომაც მიიჩნია ედიშერს საშურ საქმედ— დროზე გადაწყდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხალხური სიმღერის სწავლების საკითხი, რომელიც მრავალ პრობლემას გადაგვაწყვეტინებს.

ედიშერ გარაყანიძის ინიციატივით ანსამბლის წევრებს „ალილოსა“ და „ჭონაზეც“ ჩამოუვლიათ სოფლებში. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია გაქრობის პირზეა ჩვენში, არადა, „ალილო“ და „ჭონა“ შესანიშნავი სიმღერებია და მათი მხოლოდ სცენაზე შენარჩუნება ბევრს ვერაფერს მოგვცემს. სულ სხვაა, როცა სიმღერა ყოფაში ცოცხლობს. სადაც კი ჩასულან „ბიჭები“, ხალხში ნაწილობრივ მაინც გაუღვიძებიათ ამ ტრადიციის აღდგენის სურვილი.

ედიშერ გარაყანიძის „ბიჭები“ არაპროფესიონალები არიან. თვით ედიშერი კი თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის მეცნიერი თანამშრომელია და მომავალ ფოლკლორისტებს ხალხურ შემოქმედებას აზიარებს, ცდილობს ღადასცეს იმ სიყვარულის ნაწილი, თავის დროზე მეორე სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგმა მაყვალა თვალჭრელიძემ და შემდგომ კონსერვატორიაში სწავლისას ქართული ფოლკლორის დიდმა მოამაგემ გრიგოლ ჩხიკვაძემ რომ ჩაუნერგეს.

ახალი სახელები

▼▼

„სიმღერა ექსპონატი როდია“

და რაკი ედიშერი მეცნიერი თანამშრომელია, ცხადია, მისი ამპლუა მეცნიერულ მუშაობასაც მოიცავს. „ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართებაა“ მისი კვლევის სფერო (ხელმძღვანელი — ფოლკლორის კათედრის გამგე კ. ჭოხონელიძე).

ნაბიჯ-ნაბიჯ დადის იგი საქართველოს ყველა კუთხეში, აკვირდება ხალხური სიმღერის ბუნებას, ფესვს, და როცა საუბრობს ქართული ფოლკლორის ტენდენციებზე, აფიქრებს ზოგიერთი კუთხის ცუდი მდგომარეობა. ... ლითად, თუ სვანეთსა და აჭარაში ახალგაზრდები ჯერ კიდევ მეტნაირად ძველებურად, ... ანსამბლებიც რომ არ იყოს, ამ კუთხეებში სიმღერა მაინც იცოცხლებს, რადგან იგი ყოფის განუყოფელი ნაწილია. გურიასა და კახეთში სიმღერის შენარჩუნება ნაწილობრივ ანსამბლების ხარჯზე ხდება, ქართლზე კი ვერაფერს სანუგეშოს ვერ ვიტყვით, სადაც ძველი სიმღერების მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელად დარჩნენ.

— პარადოქსია, მაგრამ ხალხური სიმღერით ყველაზე მეტად თბილისელები არიან დაინტერესებული, ბევრია ფოლკლორული ანსამბლი, მაგრამ ფოლკლორის მდგომარეობის ბარომეტრი ხომ მაინც სოფელია, — ამბობს ე. გარაყანიძე. — თბილისში მუსიკალური ფოლკლორი სამუზეიმო ექსპონატს უფრო წაგავს და ბუნებრივი გზით არ ვითარდება.

თავის საქმის უზომოდ მოტრფიალე და მოჭირნახულე ახალგაზრდა კაცს საფიქრალიცა და პრობლემებიც უამრავი აქვს. ქართულ დრამატულ თეატრებში სპექტაკლების მუსიკალურად გაფორმებაზეც არაერთხელ მიუმართავთ მისთვის რუსთაველელებს, მარჯანიშვილელებს, კინომსახიობთა, მოზარდმაყურებელთა თეატრებს. უმეტესად ისეთ სპექტაკლებზე მუშაობს, რომლებშიც თვითონ მსახიობებს უწევთ ხალხური სიმღერის შესრულება. ღიმილით იგონებს იმ მსახიობებს, რომლებსაც არასოდეს უმღერიათ ხმის უქონლობის გამო, მაგრამ მისი მეცადინეობით ამღერებულან და არცთუ ურიგოდ.

უდიდესი მოკრძალებითა და რწმენით იცავს ახალგაზრდა ფოლკლორისტი ეროვნულ საუნჯეს და მასთან ერთად ჩვენც ღრმად გვწამს, რომ ვერაფერი ვერ შეძრავს ეროვნულ ძარღვს ისე, როგორც ერთი „ურმული“, „ოროველა“ თუ „მრავალჟამიერი“.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲝᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲡᲨᲘ და ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲛᲧᲐᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ. ᲔᲡ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲧᲐᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲤᲘᲠᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲘᲡᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ:

— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲪᲔ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ — „ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ“. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲝᲣᲠᲜᲔᲜ ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘ, ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ... ᲛᲘᲜ ᲠᲐᲮᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜᲐᲪ ᲔᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐᲡ.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ?

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ 26 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲗᲘᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡᲔᲚᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲛᲘᲕᲐᲒᲔᲑᲗ ᲘᲛᲘᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲘᲮᲝᲯᲐ. ᲒᲐᲜᲐ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ 1921-1924-1937-1956 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲘ, ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲐᲪ — 1989 ᲬᲚᲘᲡ 9 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ? ᲔᲡ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲯᲔᲚᲘᲜᲘᲗᲚᲘ... ᲘᲛ ᲓᲐᲓᲔᲣᲞᲐᲚᲣᲚᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲜᲗᲝᲗ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡᲔᲚᲘ...

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲤᲐᲡᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲥᲕᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ „ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ“ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲔᲡᲙᲘᲖᲡ. Ი�გᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲔᲪ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲐ. ᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲖᲐᲠᲘ, ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲖᲠᲘᲜᲒᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ, 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲪᲔᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲫᲔᲒᲚᲡ (ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ Ი�გᲘ ᲓᲐᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲖᲔ — ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ), ᲐᲐᲜᲗᲝᲑᲔᲜ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲡᲐᲪ — ᲗᲘᲗᲝ-ᲗᲘᲗᲝ ᲠᲔᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲪᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲜ ᲫᲔᲒᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲡᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲤᲔᲠᲤᲚᲘᲚ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

...ᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲐᲠᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲬᲠᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲬᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ — ᲣᲠᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲣᲠᲛᲘᲐ, ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲒᲕᲘᲯᲐᲕᲓᲐ ᲩᲔᲛᲘᲗᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ, ᲚᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲓ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲤᲐᲡᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲥᲕᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲓ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲤᲐᲡᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ